ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2908374

ნომერი: AR1449421

თარიღი : 17.10.2016

გაცემის თარიღი : 25.10.2016

გაცნობის თარიღი : 25.10.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის ტბის მიმდებარე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ქვრივიშვილი პ/ნ 01001051652
- თბილისი.გლდანი. VII-მ/რ. კორპუსი23. ბინა 175

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "კანდიდი", საშუალო სკოლა კოდი: 209476173

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სკოლას ორი დირექტორი ჰყავს, მარინე ქვრივიშვილი და მერი ქვრივიშვილი. საჭიროა წარმოადგინოთ ორი დირექტორიდან რომელიმეს მიერ გაცემული მინდობილობა განმცხადებლის სახელზე ან დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

ფოტომონტაჟის ველში წარმოდგენილია არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საჭიროა აიტვირთოს საპროექტო ღობის ფოტომონტაჟი მასალისა და ზომების მითითებით. ასევე საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ საპროექტო ღობე გაბარიტული ზომების მითითებით.
აქვე გაითვალისწინეთ შემდეგი: იმ შემთხვევაში თუ სამუშაოები უკვე ნაწარმოებია , "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის გამცემი ორგანო უფლებამისილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის თაობაზე მხოლოდ დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის, ან განხორციელებული ღობის დემონჯაჟის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.